ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №895545

ნომერი: AR1159603

თარიღი : 05.09.2013

გაცემის თარიღი : 12.09.2013

გაცნობის თარიღი : 30.09.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაჟა-ფშაველას გამზირისა და ვაჟა-ფშაველას IV შესახვევის კუთხეში, (ნაკვეთი 24/010) ;
ქალაქი თბილისი , ვაჟა-ფშაველას გამზირსა და ვაჟა-ფშაველას IV შესახვევის კუთხეში (ნაკვეთი 24/008);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსი ყულაშვილი პ/ნ 01024031536
- თბილისი ტაშკენტის ქ. N 25 ბ. 4

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით თქვენს დაინტერესებაში არსებულ საკადასტრო ერთეულებზე (საკადასტრო კოდი: ##01.14.03.024.010, 01.14.03.024.008) ვრცელდება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 და მცირედ ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (იხ. დანართი).

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1) წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიან ზონას, მათ შორის კარკასი განაშენიანების დომინირებული სახეობის გარეშე (შერეული ზონა);
ბ) კოეფიციენტები:
ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0,7;
ბ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2) – 3,5;
გ) მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,1;
შესაძლებელია აგრეთვე ამ წესების დანართი -1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობების არსებობა არა უმეტესს 60%-ის.

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) – წარმოადგენს სატრანსპორტო ზონას, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში – ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს, მიწისქვეშა შენობა-ნაგებობებს).

აქვე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: ##01.14.03.024.010, 01.14.03.024.008)არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულია #1142 (15.11.11წ.) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები რომლითაც შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.